

სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“ (ს/კ 216291527)

1. ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

„რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

საზოგადოების სამართლებრივი ფორმაა: სააქციო საზოგადოება, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 216291527, იურიდიული მისამართია: ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N66.

საზოგადოების საქმიანობის საგანია: თუჯის და ფოლადის სხვადასხვა დეტალების ჩამოსხმა.

საზოგადოებას ყავს სამეთვალყურეო საბჭო 3 წევრისგან, საზოგადოების დირექტორია გიორგი ბუგინიშვილი.

2. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფიქსირებულია აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგება მოყვანილია ქართულ ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების“ შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებულია ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისთვის განხორციელებული კურსით ლარებში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სახვაობები აისახება ფინანსურ შედეგებზე.

დებიტორული დავალიანება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შემენილი მასალების ღირებულება აისახება შემენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით.

ძირითადი საშვალეები

ძირითადი საშვალეები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს : ნასყიდობის ფასს, მონტაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს. ძირითადი საშვალეები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

-შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით;

-ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხებით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შეადგენს 143 995,42 ა.შ.შ დოლარს, რომელიც დაყოფილია 98 627 ცალი ჩვეულებრივ აქციად, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1,46 ა.შ.შ დოლარი. კაპიტალის ანგარიშში წარმოდგენილია ქართულ ლარში 2019 წლის 31 დეკემბრის ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (412 935 ლარი.)

საზოგადოების აქციონერები და მათთან დაკავშირებულია სხვა აუცილებელი მონაცემები აისახება საზოგადოების აქციათა შესაბამის რეესტრში.

კაპიტალის ანგარიში მოიცავს წინა წლების დაგროვილ ზარალს და გადაფასების რეზერვებს.

ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოება განიცდის მნიშვნელოვან ზარალს, რაც გამოწვეულია წარმოების მოცულობის სიმცირით.

3. კომენტარების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახსნა-განმარტებები ბალანსზე (იხ. 2019 წლის ბალანსი)

მიმდინარე აქტივები

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში, სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერების გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის სალაროს ნაშთი შეადგენდა 9 ლარს.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილია სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკშის ნაშთი 9 ლარს შეადგენს.

მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 232 589 ლარი. *

სასაქონლო მატერიალური მარაგები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მზა პროდუქციის ნაშთი შეადგენს 40 670 ლარს, ხოლო სახარჯი მასალის მარაგია 190 315 ლარი.

მოთხოვნები მიწოდებიდან

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანების მოთხოვნა არის 282 599 ლარი.

გრძელვადიანი აქტივები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშვალეების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 1 864 045 ლარს, რომელიც შედგება შენობების, მანქანა დანადგარების, სადნობი ლუმელების, ტრანსპორტორების, სხვადასხვა ჩარხების და სხვა. საწარმოს საკუთრებაში აქვს მიწა 29360 კვ/მტ ბალანსე თანხით 587 200 ლარი, არამატერიალური აქტივები 206 508 ლარი.

მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის იჯარის მოძრავ ნივთებზე თანხით 63 431 , ხვავრო კრედიტორები 3 672 038 ლარი, თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასი 38 119 ლარი, მიღებული ავანსები 10 608 ლარი, გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება 132 645 ლარი, საგადასახადო ვალდებულება არის აღიარებული დადეკლარირებული ვალდებულება, რომელზეც შემოსავლების სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე შევადგენთ რესტრუქტურზაციას ვალის გადახდაზე.

- გრძელვადიანი ვალდებულება მოიცავს სასესხო დავალიანებას ძირი თანხით 1 484 711 ლარი და დაგროვილ, დარიცხულ გადასახდელ სესხის პროცენტს 2 127 264 ლარით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შეადგენს 143 995,42 ა.შ.შ დოლარს, რომელიც დაყოფილია 98 627 ცალი ჩვეულებრივ აქციად, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1,46 ა.შ.შ დოლარი. კაპიტალიზ ანგარიშში წარმოდგენილია ქართულ ლარში 2019 წლის 31 დეკემბრის ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით 412 935 ლარი. საწარმოო ბოლო წლების განმავლობაში განიცდის ზარალს და დაგროვილი ზარალია -5 088 281 ლარი, გადაფასების რეზერვი 551 286 ლარი.

ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი	2018 წელი
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	1 153
საფაქრო მოთხოვნები	282 599	764 646
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	232 589	233 053
მარაგები	190 315	190 400
- შზა პროდუქცია	40 670	41 393
მთლიანი მიმდინარე აქტივები	746 191	1 230 645
გრძელვადიანი აქტივები		
სხვა არამატერიალური აქტივები	206 508	242 952
ძირითადი საშუალებები	1 864 857	1 960 045
მიწა 29360 კ/მ	587,200	587 200
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	2 658 565	2 790 197
სულ აქტივები	3 404 756	4 020 842
ვალდებულებები		
ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულება	63 431	56 727
საფაქრო ვალდებულებები	3 672 038	3 217 736
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	38 119	47 325
საგადასახადო ვალდებულებები	132 645	883 549
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები გადასახდელი პროცენტი	2 127 264	1 881 961
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 484 711	1 484 711
სხვა ვალდებულებები	10 608	12 836
სულ ვალდებულებები	7 528 816	7 584 845
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	412 935	385 418
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(5 088 281)	(4 500 707)
გადაფასების რეზერვი	551 286	551 286
სულ საკუთარი კაპიტალი	(4 124 060)	(3 564 003)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 404 756	4 020 842

4, ახსნა-განმარტებები ზარალის ანგარიშზე

იხ. მოგება ზარალის ანგარიში

ფინანსური კუთხით 2019 წელს მიწოდებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 138 732 ლარი. თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის არის ამონაგების 75.11%.

ფინანსური კუთხით 2019 წელი დაიხურა მნიშვნელოვანი ზარალით, ზარალის თანხა შეადგენს 587 576 ლარი.

2019 წლის მოგება-ზარალის ანგარიში

	2019 წელი	2018 წელი
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	1 138 732	560,144
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	855 371	492,339
საერთო მოგება	283 361	67,805
დასაქმებულთა ანაზღაურება	297 172	199,291
ცვეთა და ამორტიზაცია	138 686	138,981
საპროცენტო შემოსავალი:		
დარიცხული სესხის პროცენტი	245 303	250,096
იჯარის ხარჯი	4 942	10,942
ქონების გადასახადი	19 119	20,145
მიწის გადასახადი	7 398	7,398
საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი	8845	87,823
კომინიკაციის ხარჯები	4 378	2,126
მიმდინარე რემონტის ხარჯი	34 542	12,063
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი	31 187	26,363
არადაქირავებული პიზიკურტი პირების გაწეული მომსახურება	7 667	5,250
სხვა ხარჯები	44 179	17,444
გადაფასება	27 519	
სულ საოპერაციო ხარჯები	870 937	777,921
მოგება/ზარალი	(587 576)	(710 116)

5. ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში

იხ. დანართი დანართი ფულადი ნაკადის მოძრაობაზე

2019 წლის გაყიდვებიდან მიღებულმა ფულადმა თანხა შეადგინა 1 811 656 ლარს, ფულადმა გასავალმა შეადგინა 1 810 091 ლარი, საანგარიშო პერიოდის დასაწყისში საზოგადოების ფულადი სახსრები შეადგენდა 1153 ლარს, ხოლო პერიოდის ბოლოსთვის შეადგინა 18 ლარი.

2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2019 წელი	2018 წელი
ფულადი სახსრების საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	1153	0
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1811656	562561
სხვა შემოსავალი	0	0
სულ ფულადი თანხა	1812809	562561
სახარჯი მასალის შეძენა	-195790	-128323
გაცემული ხელფასები	-454409	-270890
გადახდილი საგადასახადო რესტრუქტურის თანხა	-882662	-56910
გადახდილი დღგ	-108346	-13958
გადახდილი ელექტრო ენერგიის თანხა	-125679	-81372
გადახდილი ბუნებრივი აირის თანხა	-42510	-7525
გადახდილი კომუნიკაციის თანხა	-2042	-2176
ბანკის მომსახურების საკომისიო	-1353	-254
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო მიზნებისთვის	-1812791	-561408
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	18	1153

6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

იხ. დანართი კაპიტალის მოძრაობაზე

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ დაგროვილი ზარალი 2019 წელს გაიზარდა და 2019 წლის მდგომარეობით დაგროვილმა ზარალმა შეადგინა -5 088 283 ლარი , ჩვეულებრივი აქციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 412 937 ლარი, განიცადა კურსის ცლილება და გადაფასების რეზერვი 551 286 ლარი.

	ჩვეულებრივი აქციები	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	373264	(3,790,591)	551,286	-2866041
2018 წ. წლის ზარალი		(710,116)		(710,116)
აქციების გაანგარიშება 2018 წ. 31 დეკემბრის კურსით	12153			12153
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობა	385418	(4,500,707)	551,286	-3564003.0
2019 წ. წლის ზარალი		-587576		-587576.0
აქციების გაანგარიშება 2019 წ. 31 დეკემბრის კურსით	27519			27519.0
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობა	412937	(5,088,283)	551,286	-4124060.0

მთ. ბუღალტერი: თ.ჯმუხაძე

თარიღი: 25/09/2020წ.

Handwritten signature

